სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N01/06/ა

ქ. თელავი 26 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, „№28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის, გელა სამხარაულის ბიურო", შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველი'', წარმოდგენილი №28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის, გელა სამხარაულის მიერ და მეორეს მხრივ შპს. "ლიმბო" (ს/ნ231165235), წარმოდგენილი შპს. „ლიმბოს" დირექტორის მაია ხარატიშვილის (პ/ნ20001019104) მიერ, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვმოქმედებთ რა, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ავეჯის აქსესუარების შესყიდვა.

2.2 კლასიფიკატორის კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი: 39200000-ავეჯის აქსესუარები.

2.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.4 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 200(ორასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებითი განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ალდებულებები.

დ) მიმწოდებელმა მიწოდებულ საქონელზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უნდა

წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

5. მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღე.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

7.3 საქონლის მიწოდების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

8. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიურო თელავი	შპს. "ლიმბო"
მის: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. 16	მის: ქ. თელავი, ქეთევან წამებულის 3
ს/კ 231290484	ს/კ 231165235
სს ბანკი ქართუ	სს ბანკი ქართუ
ანგ: GE98CR0160000900013408	ანგ. GE43CR0160090000463602
ბანკის კოდი: CRTUGE22	ბანკის კოდი: CRTUGE22
ტელ: (0350)270095; 599551799	ტელ: (0350)276179
თელავის მაჟორიტარი პარლამეტის წევრი	შპს. „ლიმბო"-ს დირექტორი
გელა სამხარაულიძე	მაია ხარატიშვილი
---------- ბ.ა.	---------- ბ.ა.